საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №6, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.gov.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 291

14/09/2026

ბრძანება

საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2025 წლის 31 იანვრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმის, წესისა და საგამოცდო პროგრამის, საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის ფორმისა და გაცემის წესის“ მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის –„საქპატენტის“ დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – "საქპატენტსა" და სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს შორის 2026 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № G-75/26 ხელშეკრულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციითა და სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციით, ორ ეტაპად.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპის (ტესტირება) თარიღად როგორც საერთო, ასევე, სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციით, განისაზღვროს 2026 წლის 21 ნოემბერი, ხოლო გამოცდის მეორე ეტაპის (წერითი გამოცდა) თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 5 დეკემბერი.
3. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ადგილად განისაზღვროს: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბი, IV სართული საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი.
4. საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს: 2026 წლის 15 სექტემბრიდან – 15 ოქტომბრის ჩათვლით.

5. დაევალოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის სამდივნოს გამოცდის ჩატარების თარიღებისა და გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის შესახებ ინფორმაციის, ასევე, საგამოცდო პროგრამის საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. აღნიშნული ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო